ბრძანება

23 ოქტომბერი 2018 წ. თბილისი № 136/01

2018/2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

,, უმაღლესი განათლების შესახებ"საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე–14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #931/ი 11.10.2018წ და #934/ი 12.10.2018წ ბრძანების შესაბამისად, 2018–2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, იმ პირების, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩასარიცხად ვერ მიმართავენ შესაბამის ავტორიზაციაგაუქმებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რიგგარეშე მობილობის ორგანიზაციულ–სამართლებრივი ღონისძიებების განსაზღვრის მიზნით,

ვბრძანებ:

1) 2018–2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, იმ პირების, რომლებმაც წარმატებით დაძლიეს ერთიანი ეროვნული გამოცდები და ჩასარიცხად ვერ მიმართავენ შესაბამის ავტორიზაციაგაუქმებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რიგგარეშე მობილობა განხორციელდეს დადგენილი წესით რეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ უნივერსიტეტში არსებულ ვაკანტურ ადგილებზე, მათ შორის:

2) დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ერთსაფეხურიანი სამედიცინო განათლება):
   1. ქართულენოვანი სწავლება –2 ადგილი
   2. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე (ქართულენოვანი) – 10 ადგილი;

II. მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველმა თსსუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში **2018 წლის 25 ოქტომბრის ჩათვლით** უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება უნივერსიტეტში ჩარიცხვის თაობაზე;

2. სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და ამ დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

3. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ვაჟებისათვის);

4. 4 ფერადი ფოტოსურათი (3X4, ელექტრონული ვერსიაც);

4. პირადობის მოწმობის ასლი;

5. სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.

V. სტუდენტთა გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გადაეცემა კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე კომისიის დასკვნის წარმოდგენის შემთხვევაში.

VI. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დადებითი დასკვნის, თსსუ-ის მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდისა და სტუდენტის პირადი საქმის წარმოდგენის საფუძვლებზე, თსსუ-ის რექტორი გამოსცემს "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით სტუდენტთა ჩარიცხვის თაობაზე" ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც გამოცემიდან 3 დღის ვადაში იგზავნება განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში და შესაბამისი სტუდენტის მობილობა აისახება რეესტრში.

VII. დაევალოს საქმისწარმოების სამსახურს (ნ. ჩიხრაძე) უზრუნველყოს ამ ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილას.

VIII. დაევალოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა და პროტოკოლის სამსახურს (თ. სტეფანიშვილი) წინამდებარე ბრძანების განთავსება თსსუ-ის ვებგვერდზე.

IX. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

X. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი